საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1174 2026 წლის 3 ივნისი ქ. თბილისი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის საბაზისო-თემატური გეგმის შემუშავებისთვის დავალების გაცემის თაობაზე

1. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141[10] მუხლის პირველი ნაწილისა და „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სსიპ – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დაევალოს:

ა) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, ამ განკარგულების დანართ №1-ით გათვალისწინებული დასაგეგმარებელი საორიენტაციო ტერიტორიის (გეგმარებითი ერთეულის) მოწესრიგებული/დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, საბაზისო-თემატური გეგმის შემუშავება;

ბ) შემუშავებული საბაზისო-თემატური გეგმის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენა.

2. სახელმწიფო უწყებებს დაევალოთ, ხოლო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს ეთხოვოს, სსიპ – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან კოორდინაციით, ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების ხელშეწყობა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**


დანართი 1
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი
ლაგოდეხი
გეგმარებითი ერთეულის საორიენტაციო საზღვარი
570000
580000
590000
600000
610000
620000
4648000
4640000
4632000
4624000
4616000